№ 75

კვირა, 7 აპრილი 1896

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 75

კვირა, 7 აპრილი 1896

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

**თავადი რაფაილ დავითის ძე ერისთავი და მანანა ზაქარიას ასული გეხტმანისა** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ წლის წირვასა და პანაშვიდზე, ცხრას ამა აპრილს, სამშაბათს, 12 საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში **კნეინა ბარბარე დავითის ასულის ჯორჯაძის** სულის მოსახსენებლად.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ იქმნება გამართული 21 აპრილს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში) და **კნ. ოლგა თადეოზის ასულს**

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

## ვაზის ავადმყოფობათა წამლობისათვის

მაქვს პატივი ვაუწყო სიღნაღისა და თელავის მაზრის მცხოვრებთ, რომ 15 აპრილიდამ ველის-ციხეში გაიხსნება საწყობი მანქანებისა ვაზის ავადმყოფობათა წამლობისათვის, ნაცრისა და ობის წინააღმდეგ. აპარატები, საბერველები, შაბიამანი და სხვა-და სხვა გვარი გოგირდი საზღვარგარეთიდამ ახლადა გვაქვს მიღებული. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ხსენებული იარაღები იმავე ფასად, როგორც ქ. ტფილისის საწყობებში.

დავშთები პატივისცემით ეფრემ ადაევიჩ ისაკოვი.

(4—46—3)

**სასულიერო მთავრობის ნებართვით შესდგა კომიტეტი** განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე **აკადემიაში სტიპენდიის (ერთის ან ორის) დაარსებისათვის**

**კერძო შეწირულებათა საჭირო ფონდის შესაკრებლად.** კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ,—რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებულ იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში. შემოწირულებანი უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაისის სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს დიმიტრის.

თავმჯდომარის მაგიერ კომიტეტის წევრი დეკანოზი გ. ცხვერიშვილი.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ძხ. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ტფილისი, 7 აპრილი.

—

შეიძლება მკითხველებს თავი მოვაწყინეთ სულ დაზარალებულთა შესახებ ლაპარაკით, მაგრამ ეს ისეთი საშინელი მოვლენაა, რომელიც ყოველს წუთში თვალის წინ გიდგას და იწვევს თქვენს ყურადღებას.

ვინც წაიკითხა გუშინ-წინდელს ჩვენის გაზეთის ნომერში დასტამბული კორესპონდენცია ხრეითიდამ, გაიგებდა რა უცნაური, თითქმის დაუჯერებელი ამბავი მომხდარა. 25 მოსახლე კაცი მთლად გაუნადგურებია ზვავს, სიკვდილით-კი არავინ მომკვდარა, მაგრამ შეიძლება კიდევაც ერჩიათ სიკვდილი. უსახლ-კარო, უმამულო, 150 სული მშიერ-მწყურვალი დახეტიალობს, მათი ზარალი, როგორც ადგილობრივის პოლიციის შემოწმებიდამ სჩანს 80,000 მანეთს აღემატება.

ტფილისში და ქუთაისში დაარსებული კომიტეტების საქმე ჯერ კარგად მიდის და, იმედიც არის, უფრო კარგად წავა, რადგან, როგორც დღევანდელის ნომრიდამვე სცნობთ, ქუთაისის კომიტეტი დიდ მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულსა და დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს კეთილ უნებებიათ და მიუღიათ თვის მფარველობის ქვეშ.

საჭიროა ეხლა მხოლოდ მოწინავე პირებმა საზოგადოებისამ დახმარება გაუწიოს კომიტეტებს, რათა მოკრებილი ფულები რიგიანად იყოს განაწილებული. საჭიროა ახალგაზდობამ, სოფლის მეთვალყურეებმა შეადგინონ დაწვრილებითი ცნობა მათი სოფლების დაზარალებულთა შესახებ და წარუგზავნონ კომიტეტებს. ცნობებში უნდა იყოს აწერილი თან და თანობით ვის რამდენი ზარალი მოუვიდა, რომელი სოფელი უფრო დაზარალებულია, რომელ მათგანს უფრო ეჭირვება დახმარება.

კომიტეტები-კი უნდა ეცადნენ ჯერ იმათ აღმოუჩინონ შემწეობა, ვინც მეტად დაზარალებულია და იმ სოფელს მიაქციონ ყურადღება, რომელიც უფრო განადგურებულია.

ეხლა შეგვიხვდა ეს მძიმე საქმე, რომელიც თავისი საშინელებით, თავისი შედეგებით, ბევრად უარესია შიმშილობაზედ და ხოლერაზედაც. ეხლა გვმართებს გამოვიჩინოთ მხნეობა და ერთ სულობა, რათა უიმისოდაც ქონებრივად დაღარიბებულს ჩვენ ხალხს ხელი გაუმართოთ ყოველნაირად. ვისაც შეუძლია ქონებრივად, ვისაც არა, (მე აქ ჩვენი მოსწავლე ახალ-გაზდობა მყავს სახეში) მათი წმინდა მოვალეობაა დაიარონ სოფლები და შეადგინონ ნამდვილი ცნობები დაზარალებულთა შესახებ და ამით ზემოხსენებულს კომიტეტებს აღმოუჩინონ დახმარება. კომიტეტებმა არ იციან ვის მიჰმართონ, ხან-დის-ხან უნდა იქირაონ და გაგზავნონ ვინმე, მცხოვრებთა მდგომარეობის შესატყობლად. ადგილობრივ მცხოვრებთათვის - კი ასეთი ხარჯი საჭირო არ არის და იმათ უფრო კარგად გაეგებათ თავიანთი მეზობლების მდგომარეობა.

კ. აბაშიძე.

## ახალი ამბავი

—

*** ქუთაისიდამ სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს": „თავმჯდომარემ კომიტეტისა, რომელიც შარშანდელისა და ამ წლის წყალდიდობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერ. მცხოვრებთა დასახმარებლად შესდგა, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავადმა ს. გ. წერეთელმა უმორჩილესის თხოვნით მიჰმართა მათს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს და მისს მეუღლეს დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს, რომ თავისს უმაღლესს მფარველობის ქვეშ მიიღონ ხსენებული კომიტეტი. 2 აპრილის სხდომაზე კომიტეტში წაკითხულ იქმნა საპასუხო ტელეგრამა, რომელიც მიქაფეს როგორც იყო თავიანთი „სოვეტი" (იხ. „ივერია", № 47) და გახსნეს ქვემო-მაჩხაანში ერთმანეთში მოქუჩებული, ძველის-ძველი ნაყარნუყარი სიქონლის ანტიდეპო, რომელიც ჯოჯოხეთიდამაც გამოგდებულ ანტიქრისტესავით ატყუებს ბეჩავს ხალხს შემდეგი სიტყვებით: ქართველების გულ-შემატკივარი ნამდვილი დეპო მე ვარ და ქართველებს ქართველების დეპოსი ნურა გწამთ-რაო. ეს სწორედ იმ არაკს მაგონებს: ფარეხში მომწყვდეულ ბატკნის ფარას რომ მგლის ჯოგი მისდგომია და უთქვამს: ჩვენო საყვარელო ბატკნებო, თქვენი ნამდვილი დედა-მშობლები ჩვენა ვართ, გაგვიღეთ კარები და იგეთ ნოყიერ რძეს მოგაწოებთ და იგრე ტკბილად და საყვარლად ჩაგიხუტებთ გულში დასაძინებლად, რომ ქვეყანა თქვენ შემოგნატროდეთო.

ვისაც-კი კოოპერატიული დეპობანკების ისტორია შეუსწავლია, მას კარგად ეხსომება, ასეთი ანტი დეპოები ევროპაშიაც ამოხოხორიკდნენ დღე მოკლე ენძელასავით საზოგადო დეპოების დაბადებისათანავე და აქ არა არის რა საკვირველი, მხოლოდ სასაცილოა ჩვენი ანტიდეპოელ ვაჭართა ათასგვარ მატყუვრობათა შორის აი ეს უსირცხვილო

## ფელეტონი

### გლახა

ვითა ობოლი, დედის კალთას მოშორებული,
მდუღარეს ცრემლით მომტირალი,
გულ-ამოსკვნილი,
ვით უცხო ტომი, არა შვილი თვისის ქვეყნისა,
ვითა შემცოდე, თემთა პირით წყეულ-გმობილი,
ისე ვიდოდი... ჩემ თვალთაგან ცრემლისა წყარო
უხვად მოჰქუხდა, თითქო სურდა ქცეულიყო ზღვად,
თითქო უნდოდა წაელეკნა მთელი სამყარო,
ცოდვილს ქვეყანას მოვლენოდა განგების რისხვად!
ყველა ხარობდა ჩემს გარშემო, ყველა სტკბებოდა,
ყოველის მხრიდგან მომესმოდა სიცილ-ხარხარი,
მე კი, მათებრ კაცს, არსაით არ მეპოვებოდა
არც მშობლის სახლი, არც სხვა ბინა თავშესაფარი...
დიდხანს ვიდოდი უგზო უკვლოდ გულ-ჩაწყვეტილი,
ჩემთვის არ იყო არც თვის-ტომი, არც მეგობარი,
განკითხვის ნაცვლად ხელსა მკრავდა თვით ღვიძლი შვილი,
ბედით დაჩაგრულს დამცინოდა ბედით დამტკბარი!..
მუხლ-მოდრეკილი შველას ვთხოვდი ჩემსა მოძმესა,
ის კი მრისხანედ ფეხს მაჭერდა საწყალს, ულონოს,
მე პურსა ვთხოვდი, ის-კი ჩემ კერძს ძაღლთა აჭმევდა,
მოწყალე ხელსა არ მაწვდიდა ძმას, უპატრონოს!..
კაცთა სიავით გულ-მოკლულმა, ავხედე ზეცას,
ვედრების ცრემლი შევუერთე მწარე გოდებას,
უფალს შევსთხოვდი: მას საშინელს დღეს განკითხვისას
ადამის ძეთა ნუ მოჰკითხავს მათს შეცოდებას!..

განდეგილი.

4 აპრილი, 96 წ.

### ქიზიყის აგ-კარგი.

სამღვდელოების განძრახვა.—ანტიდეპოს ამბავი.—მისი უბედურების მიზეზი.—მტრობას ძმობა სჯობია.—რა არ შეუძლიან ქვეყნისათვის კოოპერატიულ ძმობა ერთობას.—„სამშობლოს წარმატებისათვის".

ძველთაგანვე—ბრძენთაგანვე ნათქვამია: როგორიც მღვდელი, ისეთი ერიო. კარგა ხანია განათლებულ ევროპის სამღვდელოებამაც თავი გამოიდვა ხალხის ეკონომიური ყოფა-ცხოვრების წარმატებისათვის. ინგლისში პირველად, ე. ი. ასის წლის წინედ, ეპისკოპოს-მღვდლებმა დაუარსეს ხალხს საერთო საამხანაგო დეპო-დუქნები *) წურბელა ვაჭარ-ჩარჩების დღისით-მზისით მცარცვაობისაგან თავის დასაღწევად. მსგავსნი კოოპერატიული დეპო-ბანკები ცხოველ-მყოფელ მზის სხივებივით აქვს მოფენილი ევროპას და დღესაც მრავლდება მათი რიცხვი ქვეყნის წარმატებისათვის.

სწორედ ინგლისის სამღვდელოების მზგავსი საქმე მოიქმედა დღეს ქიზიყის სამღვდელოებამაც, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო სიტყვითაც და საქმითაც ქიზიყის სახალხო დეპოს განხორციელებაში. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც სამღვდელოებამ ყველაზედ უფრო ზედ-მიწევნით იცოდა და იცის ხალხის ჭირიც, ლხინიც, საჭიროებაც, და იგია კიდეც მოვალე ყველაზედ უწინარეს თვით უწინამძღვროს თავის სამწყსოს, როგორც „მწყემსმან კეთილმან".

ამ საკეთილო საქმის განხორციელებასთან ქიზიყის სამღვდელოებამ შემდეგი საქმეც განიძრახა: კვირა-უქმე დღეს უკითხოს ხალხს გონება-ზნეობის და ყოფა-ცხოვრების წინ-წამწევი ქადაგებანი ადვილად გასაგები ხალხურის ენით და მერე პაწია ბროშურებათ ბეჭდოს იგი ხალხში უფასოდ გასავრცელებლად; საამისოდ შესდგება სარედაქციო კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს ხსენებულ ქადაგებების ბეჭდვის ხარჯთა წყაროს, გამოსძებნის გეგმასაც.

განიძრახეს აგრეთვე ზოგიერთებმა დააყენონ ქიზიყში დღეობის საქმე იმ წეს-რიგზედ, თითო სოფელი თავის დღეობაში, რომ უკანასკნელად ხუთას და ათას თუმანს ჰხარჯავს ყოველ წელს, აღარ იღუპებოდნენ ამ ცუდ-უბრალო ხარჯისაგან, რომელსაც უმრავლესობა ვალად იღებს მამასისხლად და ზოგიერთთა შვილის-შვილიც-კი ვეღარ ამოჰსვლია უსულღმერთო სარგებლის სარგებელს.

***

ქიზიყის ამხანაგობისაგან თავ-ზარდაცემულმა ჩარჩებმა მოხარშეს, მო-

*) იხ. პროფესორი იანჟულის რედაქტორობით გამოცემული: „Общества потребителей. Историческій очеркъ ихъ развитія въ западной Европѣ, Америкѣ и Россіи", მიხაილოვის „Ассоціація" და სხვანი.

სის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისაგან მოუვიდა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს:

„დიდი მთავრინა და მეც დიდის სიამოვნებით ვაცხადებთ თანხმობას ჩვენს მფარველობის ქვეშ მივიღოთ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა დამხმარებელი კომიტეტი“.

„ალექსანდრე“.

მოისმინა-რა კომიტეტმა ხსენებული დეპეშა, დაავალა თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელს კომიტეტის სახელით მადლობა გამოუცხადოს მათს იმპერატორებითს უმაღლესობას. ამისათვის თავადმა დ. ო. ნიჟარაძემ დაუყოვნებლივ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მათს იმპერატორებითს უმაღლესობას:

„ქუთაისის კომიტეტმა, რომელსაც აზრადა აქვს დახმარება აღმოუჩინოს ამ გუბერნიის დაზარალებულ მცხოვრებთ, მოისმინა-რა ბრძანება დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა და თქვენის უმაღლესობისა იმის შესახებ, რომ ინებეთ და ხსენებული კომიტეტი თქვენს უმაღლესს მფარველობის ქვეშ მიიღეთ, დამავალა ღრმა და გულითადი მადლობა ვუძღვნა თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას“.

*** იმ წარმოდგენიდამ, რომელიც 13 მარტს იყო ტფილისის სახაზინო თეატრში გამართული ტფილისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ, შემოსულა ბილეთებისა 883 მ. 10 კ., პრემიებისა 96 მ. 90 კ.—სულ 980 მ. ყველა ხარჯს გარდა საზოგადოებას წმინდა ფული დარჩენია 600 მან.

*** როგორც შევიტყეთ ტფილისის გუბერნატორს წინადადება წარუდგენია ახალციხის მაზრაში, სოფ. აწყურში, სასოფლო-სამკურნალო თავშესაფარი გახსნან, რადგანაც ხსენებული მაზრა დიდად საჭიროებს უექიმობისა და წამლობის უქონლობის გამო.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტში უკვე გარდასწყდა, თუ რომელი დასი საით უნდა წავიდეს ვენახების გასასინჯად. ამ წელს საფილოქსერო დასები ბაქოსა, განჯისა, ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში იმუშავებენ.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „კულტურა, ანუ კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი განათლება“, თხზულება იულ. ლეპპერტისა, გადმოქართულებული კ. დიმ. ყიფიანისაგან, წიგნი პირველი. წიგნის გაყიდვიდამ რა ფულიც შეგროვდება, მეხუთედი ნაწილი მომავალ საქალებო სკოლის სასარგებლოდ იქმნება გადადებული. ამ თხუზულების სურათები ჩართული იქმნება მესამე ნაწილში და იქვე სრულიად ახსნილი იქნება ყველა სხოლიოები პატარა ლექსიკონით იმ სიტყვებისა და სახელწოდებისა, რომელნიც აქ არიან მოყვანილნი, თიბათვემდის გამოვა მეორე და მესამე წიგნი ხელის მომწერელთა დასარიგებლად და გასასყიდათაცაო, სწერს მთარგმნელი წიგნის ბოლოში. სამივე წიგნის ფასი მანეთნახევარია, წიგნი მთარგმნელს მ. შარაძისა და ამხ. სტამბაში დაუბეჭდია, შეიცავს იგი სულ 256 გვერდს, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზედ და სუფთად და თვითოეული წიგნი ღირს ათ შაურად.

*** მდ. არაგვი სოფ. ჭოპორტთან (დუშეთის მაზრაში) ნაპირებს მუდამ წლივ სთხრიდა და მახლობლად მდებარე ვენახებსა და სახნავებს მთლად წალეკვას უპირებდა. ამისათვის წყლების გამგეობისა და გუბერნიის ადმინისტრაციის ნებართვით მარტის ნახევრიდამ ამ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი შეუდგნენ არაგვის ნაპირების გამაგრებას, რომ მდინარეს სხვა მიმართულება მისცენ და მოსალოდნელი ზარალი თავიდამ აიცდინონ. მუშაობის დროს ადგილობრივი ინჟენერი-ჰიდრავლიკი ჰხელმძღვანელობს და საჭირო ფიჩხსა და ერთობ ხე-ტყეს სახელმწიფო ტყიდამ ეზიდებიან უფასოდ. („ნოვ. ობ.“).

*** როგორც გაზ. „ტფ. ფურც“-ი სწერს, ტფილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დამხმარებელი საზოგადოება თურმე შესდგება მალე. საზოგადოებას აზრად აქვს ყოველ მხრივ დაეხმაროს ხსენებულს ინსტიტუტს და ბევრნაირად გააუმჯობესოს მისი მდგომარეობა. ყველა, ვინც-კი წლიურად 3 მანეთს შეიტანს, საზოგადოების ნამდვილ წევრად იქმნება ჩარიცხული. წესდება საზოგადოებისა, რომელზედაც უკვე ბევრს ხელი უწერია, მალე გაიგზავნება დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს.

*** ქ. ქუთაისი: მეორე წარმოდგენას, რომელიც გამართული იყო აქ ბ-ნი კ. მესხისა, ვ. აბაშიძისა და გუნიას მეთაურობით ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო, რაიცა აიხსნება ფასების სიძვირით და დასის სიმცირით. აქ მოელიან ბ-ნ ალექსი-მესხიშვილსა და მისს დასს რომელიც ადგილობრივ არტისტთა ამხანაგობას შეუერთდა და აპირებენ ათი წარმოდგენის გამართვას. რეპერტუარი უკვე გამოცხადდა ანონსებში.

*** სოფ. ჭალადიდი, (სამეგრელო): დიდის წვიმებისა გამო ბრწყინვალე დღესასწაულებში მდინარე რიონი მოდიდდა და მოეფინა მთელს საზოგადოებას. რა ნაირად და როგორ გაიარა აღდგომის დღესასწაულმა, აქაურმა მცხოვრებლებმა არ იციან, მიუხედავად ამისა, კალმით აუწერელია ის შეწუხება და ზარალი, რომელიც მისცა გაშმაგებულმა რიონმა მცხოვრებლებს. თუმცა ადამიანი არ უმსხვერპლია წყალსა, მაგრამ სხვანაირი ზარალი-კი დიდია. რადგანაც წყალი თან-და-თან მატულობდა, ხალხი დიდი თუ პატარა სახლების სახურავს და მაღალ ხეებს შეეფარნენ და ყვიროდნენ „გვიშველეთ, ქრისტიანებო, გვიშველეთო“. მაგრამ ვინ იყო მშველელი? ეს ამბავი ადგილობრივ მაზრის უფროსს ბ-ნ ი. ქ. ქავთარაძეს და ბოქაულს ბ-ნს ივ. ს. ახვლედიანს აცნობეს. იგინი მიუხედავად ცუდის ამინდისა და დღესასწაულისა მაშინათვე მიეშველნენ ხალხს შემწეობის მისაცემად. ბევრი ადამიანი ხიდამ და სახლის სახურავებიდამ ჩამოიყვანეს და გადაარჩინეს სიკვდილს. ხალხი დაამშვიდეს და რამდენიმე კაცი მისცეს სოფელს ნავით, თუ საჭიროება მოითხოვდა, დროზედ მიშველებოდნენ... ერთის სიტყვით, შესაბრალისია სოფ. ჭალადიდი და ისულა, სადაც წარსულსა და მდგომარე წელს სამ-ოთხ ჯერ გადავიდა მდ. ტეხური და რიონი. ეხლა აქეთ ჭირნახულის თესვაა, მაგრამ როგორ დათესონ, როცა სახნავ-სათესი ადგილები აზღვავებულია?..

*** სოფ. შხეფი (სენაკის მაზრა): ეს ერთი თთვეა, რაც აქ ერთი უცნაური ავადმყოფობა ემართება კაცს. ეს სენი ადამიანს პირში უჩნდება, როგორც საქონელს თურქული და საჭმლის ჭამას უძნელებს. ზოგიერთს პირის სახეს უსივებს, ზოგს ღრძილები და ყელი უსივდება. ჯერჯერობით ამ სენს არავინ არ უმსხვერპლია. აქაურები ამ სენს კაცის თურქულს ეძახიან...

*** სოფ. ოზაანი, (სიღ. მაზრა): მარტის 10-ს აქაურ კალოებზედ შემდეგი უბედური შემთხვევა მოხდა: თ—მა გ—შვილს თოფი გაუვარდა და მოხვდა ვ—ლი ოზაშვილს, რომელიც დიდის ტანჯვა-წვალების შემდეგ მაშინვე გარდაიცვალა. უბედური სულ 16 წლის ყმაწვილი იყო.

*** ს. ცეროვანისი, (გორის მაზრა): ამ სოფელში ცუდი სატკივარი გაჩნდა. „ხოლერინას“ მიემგზავსება. ავადმყოფს საშინელი მუცლის ტკივილი აუვარდება და ასაქმებს. ამ სენმა ხუთი სული კიდევაც იმსხვერპლა, კარგი იქნებოდა, სანამ ფესვს გაიდგამდეს ეს სენი, ექიმებმა ყურადღება მიაქციონ.

—

ჩვენ მოგვივიდა შემოწირულება, შეგროვილი გარსევან რატიანისაგან წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ქუთაისის გუბერნიაში, აქ სხვ შემომწირველთა:

გარსევან რატიანი 2 მან., ნესტორ რატიანი 2 მ., გარასიმ გართანოვი 3 მ., იაკობ მილილოვი 1 მ., ტიგრან წატუროვი 1 მ., გრიგოლ ზაინდუროვი 1 მ., დავით არაქელოვი 1 მ., არტემ შაუმოვი 1 მ., ერემია გულაზოვი 1 მ., ივანე შალამოვი 2 მ., ალექსი შელიძე 1 მ., ლევან დალაქიშვილი 1 მ., სტეფანე გულიევი 1 მ., გიორგი ლაზაროვი 2 მ., დიმიტრი ჯმუხაძე 1 მ., გიორგი ჯმუხაძე 1 მ., იაკობ მაისურაძე 1 მ., ალექსანდრე ხოჯასაფრესოვი 1 მ., სტეფანე ხითაროვი 1 მ., გიორგი აბულაძე 2 მ., ილია ხარაევი 2 მ., ალექსანდრე მაჭკალოვი 1 მ., კასილ ელიაზაროვი 1 მ., იაკობ მირმანოვი 1 მ., ალექსანდრე ქიშმიშოვი 1., იაკობ დემუროვი 1 მ., ალექსანდრე აღასოვი 50 კ., იაკობ შუაქრიშვილი 50 კ., მიხეილ უულიჯანოვი 50 კ., მიხეილ ყარიევი 50 კ., ალექსანდრე ახნაზაროვი 50 კ., ტერ-გარაპეტოვი 50 კ., არტემ ჭკარანოვი 50 კ., გიორგი პავლიევი 50 კ., სედრაკ საპაკოვი 40 კ., პავლე ყუშტოვი 40 კ., გრიგოლ ხოჯასაფრესოვი 30 კ., უბლოევი 30 კ., იოსებ ოსებიძე 20 კ., სიმონ ბედრიევი 20 კ., ტიგრან დავიდოვი 20 კ., გარასიმ გოზალოვი 20 კ., არტემ ტეროხანეზოვი 20 კ., ისკერდოვი 20 კ., მელიქ ნაზაროვი 20 კ., სულ 40 მ. 80 .

## კორესპონდენცია.

—

ს. ატენი. სოფელი ატენი მდებარეობს გორიდამ რვა ვერსის მანძილზე. ეს სოფელი გაშენებულია ვიწრო ხეობაში, რომელშიაც აქაფებული მორბის პატარა მდინარე ტანა. ზაფხულში ტანა სასიამოვნო სანახავია: განუწყვეტელის მხიარულის ჩქაფა-ჩქუფით მოცქრიალებს თავ-დაღმართზე და თავისს ანკარა ტალღებს უხვათა გზავნის აქეთ-იქით ნაპირებისკენ, რომლებზედაც გაშენებულან მთელს ქართლში განთქმული ატენური ვენახები. სამწუხაროდ,

---

ჯადობაზობა:

ვიღაც სიღნაღელ ოთხჯერ გაკოტრებულ ვაჭრის ბიჭისათვის ევროპიულად ჩაუცმევიათ, თავზე შაპოკლაკი დაუხურნიათ, ცხვირზე მებურნუთე ბებიას სათვალეები ჩამოუცმევიათ, დახლში დაუსვამთ და ბეჩავ ხალხს ყოველდღე შემდეგს ჩასჩიჩინებენ: „აი, ეს ახალგაზდა ბიჭი, ფრანცუზია, ქართული ერთი სიტყვაც არ იცის ჯერ, რაც კი რუსეთში ფაბრიკებია — ნახევარი ამის მამისაა, ის გვიგზავნის რუსეთიდამ საქონელს და თანაც გვწერამს: ხომ იცით ჩემი უთვალავი მილიონები ზღვას დაგუბებენ, ისე იაფად გაყიდეთ ყველაფერი ჩემი მადლის გულისათვის, რომ მაგნაირი იაფობა არაკებშიაც არ გაეგონოთ ქართველებსო!..“ რაღა თქმა უნდა, ამგვარ-მატყუარა-გაქნილ სიტყვებით ბევრს ბეჩავ სოფლელს აბრიყვებენ ის ოჩოპინტრე ვაჭრები, რომელთაც რუსეთი სიზმრადაც-კი არ მოჰლანდებიათ.

მაგრამ თქვენი მტერი, რაც ამ ცოტა ხანში ანტიდეპოს სამარცხვინო საქმე დაემართა: ერთ მშვენიერ დღეს თავს დაადგა თავის ამალით ქვემო-მაჩხაანის მამასახლისი ი. მახარობლიშვილი, გამოუწონა გირვანქა-საწყაოები ქიზიყის დეპოს გირვანქა-საწყაოებზედ—და ვაი სირცხვილო! ოხ, თავის მოჰრავ! ყველა გირვანქები და საწყაოები ანტიდეპოსი იქამდის ყალბი-პატარები გამოდგნენ, რომ მნახველთა გაკვირვებას საზღვარი აღარა ჰქონდა. გირვანქა-საწყაოები მაშინათვე დაუბეჭდეს ოქმის შესადგენად; იქვე აღმოაჩინეს ვაგლახი ღირსების ნავთი და სხვანი. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოეფინა ქიზიყის სოფლებს და დატრიალდა ჯარა!.. „უი, ტა-ტა-ტა!.. ეგ შავბნელი, ეგ გასაბრაჰტი შვილებიო,—მრისხანედ გაიძახოდნენ მანდილოსნები: თუკი თვალხილულ გირვანქა-საწყაოებში ემაგრე თვალდათვალ გვატყუებენ, ზომაში, ანგარიშში, საქონლის სიავკარგეში და ფასებში უფრო ადვილად არ მოგვატყუებენ ა ცხვარივით ხალხსაო.“ ზოგმა მაშინ აანგარიშებინა სხვას თავის ხელ-უხლები ნავაჭრი და მართლაც ბევრი მოეტყუებინათ ზომაში და ანგარიშში. როდესაც ზოგიერთებმა უკანვე მიუბრუნეს ნავაჭრი შეითან-ბაზრელებს და უთხრეს: „რათ აგილიათ ჩვენიდამ ამდენი მეტი ფული და ან ზომაში რათ აკლიაო“, „უკაცრაოდ, ნათლიდედ, ჩოტკაში შაცდომით გადმოჰყოლიაო და ზომაშიაც ბიჭი შესცდებოდა, ის გასაფუჭებელიო“, გაიძვერული ბოდიშით უპასუხებდნენ ანტიდეპოელი თოხუმები და უბრუნებდნენ უკან ფულს.

ამ ამბავმა უფრო მეტად გააცეცხლა ხალხი, ზედატანებით ისიც გაიგეს, რომ მოგონილი „ფრანცუზი“ ოთხჯერ გაკოტრებული სიღნაღელი ვაჭრის ბიჭი იყო, და ეხლა-კი მედგრად აღელვებული გულის რისხვა-წყრომით დაიწყო ხალხმა ყვირილი: „თქვე აგეთ-იგეთებო, ახლა გინდათ, რომ მგლები ცხვრის ტყავებში მეგვეჩვენოთ და კიდე გვჭამოთ მალვით ფარვითო“ და ცოტას გასწყდა მოგონილ „ფრანცუზს“ საბრალო შაპოკლაკი არ დაუხიეს და „იმის მამის ფაბრიკებს“ დევგმირი ბოდბელები არ მიუსიეს სახელ-განთქმული ელიბოს პანტის ზარბაზნებით. იქამომდე აღელვებულია ამ ჟამად ქვემო-ქიზიყი, რომ თითქმის ერთხმად გაიძახის: გვეყო, ხალხო, გვეყო ჩვენი დამღუპავი ვაჭარ-ჩარჩებისაგან ეს ამოდენა უსულდმერთო მატყუვრობის თმენა, დროა თავს ვუპატრონოთ და დავადგინოთ იგეთი განაჩენები, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავეხწივნეთ იმათ ცარცვა-გლეჯასო. იმ ზომამდე თავზარდაცემულები არიან დღეს ქიზიყის წურბელა ვაჭარ-ჩარჩები სახალხო დეპოს წინმსვლელობით, ხალხის გამოფხიზლებით და თავიანთ დუქანბაზრების მოსპობის ელდა-შიშით, რომ გეფიცებით, მშვენიერი ტრაგი-კომედია დაიწერება ქიზიყის ცხოვრების ამ ახალი მოძრაობის სახსოვრად.

საქართველოს რომელ კუთხეშიაც კი სახალხო დეპო დაიბადება, უეჭველია მის გვერდითვე ამოხოხორიკდება ვაჭარ-ჩარჩების ანტიდეპოც და იქვე ჩაქრება ხან-მოკლე ენძელასავით, როგორც ეს ევროპაში მოჰხდა, და ბოლოს ჩარა-გაწყვეტილი ვაჭარ-ჩარჩები მთავრობას-ღა მიჰმართვენ შემდეგის თხოვნით: ნუღა ამრავლებთ ნება-რთვის მიცემით სახალხო დეპოებს, თორემ მთლად ვიღუპებით და ვაკლდებით სახელმწიფო ხაზინის გამდიდრებასაცო. მაგრამ მთავრობაც იმავე პასუხს მისცემს იმათ, რა პასუხიც ევროპაში მისცა მთავრობამ თავის ვაჭარ-ჩარჩებს ამგვარ საჩივრებზედ (იხ. პროფესორი ისაევის: „Начала полотической экономiи“, 497 გვ.—94 წ.) ბოლოს-ბოლოს ისღა დაჰრჩებათ ჩვენს ვაჭრებს, რომ დაიწერონ პირჯვარი, შეაფურთხონ ეშმაკს, იწამონ ყოვლად-შემძლე ძმობა-ერთობა-პატიოსნების მძლეთა-მძლეობა და თითონაც შეუერთდნენ თანხით და შრომით საქვეყნო-საკეთილო დაწესებულებათ კეთილ ცხოვრება-კაცობისათვის. დიაღ, მტრობას ძმობა სჯობია, და სადაც კაცი ფონს ვერ გავა, იმ მახრჩობელა ადგილს უნდა ერიდოს, თუ ჰკვათა-მყოფელია...

***

დავუსვი თუ არა ამ წერილს დამთავრების წერტილი, ის იყო კიდეც ფაიტონმა გრიალი შემოიღო ჩემი სახლის ეზოში. ფაიტონიდამ ოთხის წლის უნახავი გულის საყვარელი ძმა-მეგობარი გადმოხტა და ისე ალტაცებით გადავეხვიენით ერთმანეთს და იქამდის უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული უზომოდ ნასიამოვნები გულისა, რომ ვიდრე მეფაიტონემ ხელი არ შეახო ჩემს მეგობარს, აღარ გვეყურებოდა მისი ლაპარაკი, რომელსაც ბარე ოცჯერ ეთქვა: „მეჩქარება, ბატონო, გამისტუმრეთო“.

— აბა, ჯერ ერთი მაჩხაანის სახალხო დეპო მიჩვენე,—მითხრა რამდენიმე წუთის შემდეგ მეგობარმაექიმმა და მეც წავიყვანე დეპოში, რომელიც სულ ერთი კვირის გადასული იყო საზოგადო ახალ შენობაში. „სტოიკის“ შიგნით ჯარივით გამწკრივებულიყვნენ ნოქრები (იმათში შეგნებული მანდილოსნებიც ნოქრობდნენ) და დუღდა და გადმოდიოდა ვაჭრობა მრავალი ხალხით.

— უჰ, ეს რა ამბავია, რა მშვენივრებაა! ასეთი უზარ-მაზარი დეპოს დარბაზი სოფელში და ისიც ასე მალე!—სიამოვნების გაოცებით წარ-

ასეთი აღარ არის ხოლმე ტანა გაზაფხულსა და შემოდგომაზე! მომეტებულად გაზაფხულობით დაჰკარგავს ხოლმე იგი თავისს ტურფა სანახაობას: მთებზე დამდნარი თოვლი ჩადის მასში, ავსებს მის ღრმა კალაპოტებსა და, ტალახის ფერად ანღვრეული, მორბის, მოჰქუხს, მრისხანებს და თანაც მძიმე კვებერთელა ლოდებს საშინელის გრიალით მოარბევინებს ქვემოთა. ვაი მას, ვინც ამ დროს თავზე ხელს აიღებს და მასში გასვლას მოინდომებს!!.

—

ატენის ხეობა განთქმული იყო, სხვათა შორის, თავისს მშვენიერი უზარმაზარი ტყეებით. ეს ტყეები იჯარით აიღეს ზუზუმან-ქართველიშვილმა, დაიჭირეს სამას-ოთხასი მუშა და იწყეს ჩეხვა-მუსვრა ამ საუკუნო საუნჯისა. სჩეხდნენ ტყესა და ამზადებდნენ რკინის გზის ლიანდაგისათვის ხეებსა... წინაპირველადვე საქმე როგორღაც ვერ მოეწყო კარგად: მუშებში ხშირად ჩნდებოდა ხოლმე უკმაყოფილება იმის გამო, რომ ოფლითა და წვა-დაგვით მოპოვებულს სამუშაო ფასს ვერ იღებდნენ დროზედ და მთლათა. ამის გამო როგორადაც სასამართლოს, აგრეთვე ადმინისტრაციას არა ერთხელ მოხდომიათ მოხსენებულ მოიჯარადრეთა და მუშებს შუა ატეხილ დავა-დარაბაში ჩარევა. როგორც ცხადათ აჩვენებს ქვემოთ მოხსენებული ამბავი, ესეთი უსიამოვნო დამოკიდებულება მოიჯარადრეთა და მუშებს შორის არ შეწყვეტილა დღევანდლამდე.

—

დიდ შაბათს დილით რომ ატენის ხეობაში აგვედით და მასხლოკებოდით მოხსენებულ ზუზუმანის სადგომს, თქვენ უსათუოდ დაინახავდით ამ სადგომის გარშემო სამასამდე მუშა ხალხს, რომელიც გაბრაზებითა შეგროვებულა და სახლში შემწყვდეულ ზუზუმანს მუქარებით სთხოვდა სამუშაო ფასსა. ზუზუმანმა შეატყობინა გორის პოლიციას, რომელმაც გაგზავნა ერთი თავის ბოქაულთაგანი, რათა გაბრაზებული ხალხი როგორმე დაემშვიდებინა. მაგრამ ბოქაულმა ვერა გააწყო რა და უიმედოდ დაბრუნდა გორში; მაშინ მაზრის უფროსის მოთხოვნილებით გაგზავნილ იქმნა ატენის ხეობაში ჯარის მცირე რაზმი. ამათმა მისვლამ მუშა ხალხი დააწყნარა, ბ. ზუზუმანი გაანთავისუფლა. რაზმის სამოცდა სამი ჯარის კაცი და ორივე პოლიციის ბოქაულები მეორე დღეს, ე. ი. აღდგომას, ჩამსხდარიყვნენ რკინის გზის მატარებელში და აზვირთებულ ტანას ნაპირზე უდარდელად მიდიოდნენ გორისკენ. აგერ მატარებელი მიუახლოვდა ს. ატენს, სადაც ამ დროს მისალოცავად, ქრისტეს აღდგომისა თავის მრევლში დადიოდა შემოსილი მღვდელი ამ სოფლისა მ. გრიგოლ აბრამიშვილი. ამან სოფელში სიარულის დროს გადახედა თურმე მდ. ტანას და დაინახა, რომ ერთ ადგილას ამის გატოფებულ ტალღებს გამოეთხარა მიწა ლიანდაგის ქვეშ, რის გამოც რამდენიმე რელსი ჰაერში, წყლის დასწვრივ, იყვნენ გამოკიდულნი. მცირეოდენი სიმძიმე-კი საკმარისი იყო, რომ გვერდზე გადაეზნიქა ეს რელსები და მათზე მდგომი თავდაყირა გადაესროლა გაგიჟებულ მდინარის ხევში. მატარებელმა ჩამოირბინა ამ ადგილისკენ და, რადგან აქ გზა მოხვეული იყო, დაუსტვინა. ამ დროს მამა აბრამიშვილი ერთი გლეხის სახლში იყო და იაზმის წყლით ასხურებდა თავის სულიერ შვილებს. მატარებლის სტვენა შემოესმა მღვდელს, რომელსაც მაშინათვე თვალწინ წარმოუდგა მოხსენებული საშიშროთი ადგილი... ანება თავი ლოცვას და შემოსილი, ჯვარით გამოვარდა გარეთ... დაინახა თუ არა მომავალი მატარებელი, გაჰქანდა გზისაკენ და რადგან ეს გზა მდინარის იქით ნაპირას მისდევდა, მიადგა მდინარის აქეთ ნაპირს... ყვირილით, ჯვრის ქნევით უნდოდა შეეჩერებინა მატარებელი, მაგრამ ვერა გააწყო რა... მღვდელმა გადიწერა მაშინ პირჯვარი და შესტოპა ტანაში. საბედნიეროდ შემოსილი მღვდლის ამგვარმა მოქმედებამ მიიქცია ყურადღება მაშინისტისა, რომელიც მიხვდა საქმე რაშიაც იყო და საჩქაროზე შეაჩერა მატარებელი.. ქრისტიანმა მოძღვარმა თავისუფლად ამოისუნთქა, ქვეყნისათვის თავდადებულის წ-და ჯვარს სასოებით ემთხვია და მუხლებამდის სველი გამობრუნდა უკანა. აუცილებელ სიკვდილისაგან გადარჩენილი ხალხი იმავე წამს გამოვიდა მატარებლიდამ და გულწრფელის მადლობით სალამი მისცა პატივცემულ მოძღვარსა.

არბოლელი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** „ფიგაროში“ დაბეჭდილი საყურადღებო წერილი ამ სათაურით: „ელისეს სასახლის პოლიტიკა“. ავტორი, რომელიც აწერს ფსევდონიმად „მოწმე“-ს ამბობს, მოვახერხე და გავიგე რა მოლაპარაკება მოხდა პრეზიდენტსა და რესპუბლიკის სხვა-და-სხვა ჯგუფის წარმომადგენელთა შორისო. იგი იცავს პრეზიდენტს და ამბობს, ტყუილია აუხირდნენ ფორს, რადიკალთა სამინისტროს ემხრობიო, პრეზიდენტი სრულიად მიუდგომლად და კონსტიტუციის თანახმად იქცეოდა. აქამდის ფორი სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც იქცეოდა, მხოლოდ შემდეგში-კი გამოჩნდება, რომ ფორი მტკიცედ იდგა იმ გზაზედ, რომელზედაც უნდა იდგეს პრეზიდენტი. ეხლა სენატზედ არის დამოკიდებული, თუ სენატი კარგად მოიქცა ფორი თავისს ნამდვილს აზრს წარმოსთქვამს და რადიკალთა სამინისტროს ბოლოს მოუღებს. პირველსავე სხდომაზედ სენატმა უნდა განიხილოს მადაგასკარისათვის საჭირო კრედიტის საქმე. თუ უნდა ეხლანდელი სამინისტრო დაამხოს, საჭიროა სრულიად უარ-ჰყოს ეს კრედიტი, თუ მხოლოდ შეამცირა, მაშინ სამინისტრო ისევ პარლამენტს მიჰმართავს და ისევ განაგრძობს სამსახურს. პრეზიდენტმა რაღა უნდა ჰქნას ამ შემთხვევაში. ხოლო თუ სენატი უარსა-ჰყოფს კრედიტს, სამინისტრომ ძალაუნებურად უნდა დაანებოს თავი სამსახურს, რადგან ფულები დამლევი აპრილისთვის არის საჭირო, პარლამენტის სხდომები-კი მაისში გაიხსნება. მართალია სამინისტროს კიდევა რჩება ერთი საშუალება, სახელმწიფო საბჭოს მიჰმართავს და სთხოვს კრედიტის ნება მისცეს, მაგრამ სახელმწიფო საბჭოს გარდაწყვეტილებას უთუოდ პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი. აი აქ დაამტკიცებს ფორი, რომ იგი წინააღმდეგია რადიკალთა და არც კონსტიტუციის კანონებს გადასცილდება. ამბობენ, რომ მართლაც „ელისეს სასახლიდამ“ აქვს „მოწმეს“ ჩაგონებული ეს აზრიო, წერილის შინაარსიც თითქმის ამტკიცებს ამ აზრს. ყოველს შემთხვევაში ეს წერილი მეტად საყურადღებოა ოპორტიუნისტთა მოქმედების შესაცნობად.

**ინგლისი.** „ტაიმსსა“ სწერენ პარისიდამ, რომ სუდანის ექსპედიციის შესახებ მოლაპარაკება შესწყდა ორი კვირით, მაგრამ ეხლა რაკი ლორდი დეფფერინი დაბრუნდა, იგი მოლაპარაკება ხელ-ახლავ დაიწყებაო. ინგლისელები ჰფიქრობენ, რომ ბურჟუა ეხლა სხვანაირად განსჯის სუდანის საქმეს და ამ აზრით ეგვიპტის კასსიდამ ფულების დახარჯვასაო. 1 აპრილს უნდა მომხდარიყო კრება ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ავსტრიისა, იტალიისა და რუსეთის წარმომადგენელთა ეგვიპტის კასსაში, სათადარიგო თანხიდამ ფულების დახარჯვის შესახებ. ექსპედიციისათვის მზადება არ შეწყვეტილა: მოიპოვეს მრავალი აქლემი, მშვენიერად არის მოწყობილი ექსპედიციის საქმე და გაცხარებული მუშაობა.

თუ სუდანის ექსპედიცია ინგლისელების გამარჯვებით გათავდა, მაშინ იგი მაგრად მოიკიდებს ფეხს ეგვიპტეში. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ რუსეთმა და საფრანგეთმა წინააღმდეგობა გაუწიეს ინგლისის პოლიტიკას. გერმანიის მოქმედებამ-კი ძალიან გააოცა პეტერბურგისა და პარისის სამინისტრო და არა სასიამოვნო მდგომარეობაში ჩააყენა იგინი. რადგან ეხლა სულ სხვა საშუალება უნდა იხმარონ თავიანთი აზრის განსახორციელებლად, რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობას შორის ეხლა მოლაპარაკებაა ამის შესახებ, სცდილობენ გამოარკვიონ, რა რიგ უნდა იმოქმედონ ამ საქმეში. ამ მოლაპარაკების შინაარსი ჯერ არ იციან, ეს კი დარწმუნებით ვიცით, რომ საფრანგეთი და რუსეთი ყოველს შემთხვევაში თანხმად იმოქმედებენ.

## საჭირო ცნობა

—

შემდეგი *)

სახალხო სამკითხველოს დაარსების მსურველმა უნდა წარუდგინოს გუბერნატორს თხოვნასთან ერთად წესდებაც.

აი ამგვარი წესდების ნიმუში:

1) N სახალხო ბიბლიოთეკას (სამკითხველოს) აზრადა აქვს (სახელი სოფლისა გინდ ქალაქისა) მცხოვრებთ მისცეს საშუალება უფასოდ წიგნების კითხვისა.

2) N ბიბლიოთეკას (სამკითხველო) აარსებს ეს და ეს საზოგადოება, ან და ესა და ეს პირები (წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი). ბიბლიოთეკის, (სამკითხველოს) საშუალებანი.

ა) დამაარსებელთა, ანუ წევრთა ხვედრი ფული.

ბ) პროცენტები იმ კაპიტალიდამ, რომელნიც ბიბლიოთეკისათვის (სამკითხველოსათვის) არის გადადებული.

გ) დახმარება სხვა-და-სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათაგან, სასოფლო ყრილობათაგან.

დ) შემოწირულება ფულებითა და წიგნებით, სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთაგან.

*) იხ. „ივერია“ № 74.

მოსთქვა მეგობარმა და გაკვირვებითვე დაუმატა: ასეთი გაერთიანებული, უშველებელი სავაჭრო დარბაზი ხომ ტფილისშიაც არ მოიპოება.

მეგობარი ძლივს მიუახლოვდა კასას, სადაც ჩქჩქივით აყრიდნენ კასირს აქეთ-იქიდამ ფულსა და ჩეკებს; იქვე ზოგიერთი ქალ-მანდილოსნები და კაცები ტფილისის „ქალთა ამხანაგობის“ მომავალ დეპოს წევრებათ ეწერებოდნენ, საწევრო ფულს აძლევდნენ და დაბეჭდილ კვიტანციებს იღებდნენ. ამ სანახავით მეგობრის სახე უფრო მეტის სიამოვნებით გაბრწყინდა. დავატარე დეპოს შენობის სარდაფებიც, ვუამბე, რომ შენობაზე მესამე სართულის დადგმასაც აპირებს ამხანაგობა თავის დროზედ, სადაც მოეწყობა სახალხო თეატრი, ბანკი და საკრებულო-მეთქი. ვუთხარ ისიც, რომ დეპოს გამგეობა გულ-მოდგინედ ცდილობს შეადგინოს სიღნაღ-თელავ-ზაქათლის მაზრის დაარსებულ და მომავალ დეპოების ისეთი ორგანიზაცია, რომ ადვილად და იაფად მოდიოდეს ხსენებული დეპოებისათვის ყოველგვარი საქონელი რუსეთის იმპერიის მეფაბრიკე-მექარხნეთა საწყობებიდამ-თქო.

სარდაფიდამ გავედით მწვანე მდელოთი მოსილ დეპოს უკანა ეზოში, რომელიც სავსე იყო ახლად მოტანილი რკინის გუთნებით და ბუზივით ეხვეოდა ხალხი. მეგობარს ეხლა უფრო მეტად აღფრთოვანებული ღიმილი ხიამოვნებისა უთამაშებდა სახეზე. შევედით დეპოს შენობის იმ ოთახშიაც, რომელიც ქვემო-მაჩხაანის სამკითხველო-წიგნთ-საცავისათვის მზადდება, იქ მოეყარა თავი გარემო სოფლების ინტელიგენციას, ზოგნი სხვა-და-სხვა ახალ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდნენ და ზოგნიც დეპოს შესახებ სჯა-ბაასობდნენ. ჩემი მეგობარი მეტის აღტაცებისაგან ეხლა-კი მთლად გადირივა და თავისთვის ჰბოდავდა: „მშვენივრებაა! ახალი მოძრაობა, პროგრესი, დეპო, ზღვისოდენა ხალხი, სამკითხველო, ყველგან სახალხო დეპო-ბანკებზე სჯა-ბაასი, სამზადისი“!

გავაცან იქ მყოფნი ჩემს მეგობარს და იმავ დღესვე მოუწვივე ყველანი სადილზედ. გაჩაღდა სუფრაზე კახური ლხინი, და სხვათა შორის, ერთმა უკანა-მხრელმა სთქვა:

— თქვენ-კი დაეხწიეთ, წინამხრელებო, წურბელა ვაჭარ-ჩარჩებს დეპო', წყალობით, და არ ვიცი ჩვენ როდის-ღა დავეხწევითო.

— ფიქრი არ არის, ეცადეთ, იმეცადინეთ, იგამჭრიახეთ, დააარსეთ თქვენშიაც დეპო და თქვენც დაეხწევით, მხოლოდ ენერგიით აღსავსე, დაუცხრომელი ბრძოლაა საჭირო მის განხორციელებისთვისო, მიუგო წინა-მხრელმა ჩოხოსანმა.

ჩემს მეგობარს, რომელსაც ქარვალალის ნუნუასაგან ცეცხლის წვერივით ენთებოდა სიმპატიური სახეთვალები, აზღვავებული გრძნობა-ფიქრები ველარ დაეტივნა გულ-გონებაში, წამოდგა და წარმოსთქვა მაღალ-გრძნობიერი სიტყვა, რომელშიაც მწყობრად დაასურათხატა ჩვენი აწმყო ბედ-უკუღმართი ცხოვრების უმთავრესნი მიზეზნი და ის, თუ რა დიდად დააწინაურებს ჩვენს ქვეყანას გონება-ქონებით ჩვენი ალებ-მიცემობის მილიონები რომ ჩვენვე გვიბრუნდებოდეს კოოპერატიული საზოგადოებათა წყალობით, ამის დასასაბუთებლად შეეხო ევროპიელთა ასოციაციებს, რომელთაც ყველა დარგის მეცნიერება-ხელოვნებაც-კი აღორძინეს თავიანთ აღორძინებასთან ერთად. ბოლოს, როგორც იმერელი, თავის საყვარელ „ზემლიაკის“ ნათქვამით დააბოლოვა თავისი გძელი, მაგრამ ღირს სახსოვარი სიტყვა: „მრეწველობის უქონლობა, ცხადია, უდიდესი ნიშანია ქვეყნის ჩამოქვეითებისა და უკან ჩამორჩენისა. იმ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოჰხდება თვალ-საჩინო, არც გონებრივი, არც საზოგადო, არც პოლიტიკურის მხრივ, სანამ ის მრეწველობის საშუალებით ეკონომიური მონებისაგან არ დაიხსნის თავს. აიღეთ რომელიც გსურდეთ იმ ერის ისტორია, ყველგან ცხადად დაინახავთ, რომ მისი აღორძინება, მისი გონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება, ალებ-მიცემობის, მრეწველობის ზედდართული შედეგი დანაყოფი ყოფილაო,“ — ამბობს ჩვენი პატივცემული პუბლიცისტი ბ-ნი ნ. ნიკოლაძეო.

აღტაცებული ვაშა-ტაშით შეუქეს სიტყვა ჩემს მეგობარს, და ქარვალალის ღვინით ლექურ დალაბანდივით გახურებულ „კამპანიას“ პანტიპუნტით სცვიოდა „რეჩები,“ ძმური მასლაათი, ლხინი, სიცილ-ხარხარი და ტკბილ-ხმოვანი სიმღერები.

— ბატონებო! დაიძახა თამადამ, გაუმარჯოთ და ასი ათას ჯერ გაუმარჯოთ ყველა იმ მანდილოსან-ქუდოსნებს, რომელნიც-კი დღეს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში საზოგადო დეპოების განხორციელებაზე ზრუნავენ და საზოგადოთ ფიქრობენ ქვეყნის სიკეთისათვის.

— ამინ!... ერთხმად დაიგრიალა ყველამ და კვლავ დააგუგუნა ტკბილი-საამო „მრავალ-ჟამიერ“.

...დასასრულ ერთი საგულისხმო ამბავიც. აღდგომის შემდეგ ზოგიერთ შეგნებულ ოჯახთა წვეულება-დღეობებში შემდეგი ვნახეთ: შუა სუფრაზედ სდგას ხის ყულაბი, რომელსაც აწერია: „სამშობლოს წარმატებისათვის,“ ლხინის, წვეულობის დროს თამადა ძველებურად ველარავის ატანს სასტიკ ძალას: გინდა თუ არა ყველამ დაცალეთ სავსე ჰიქა-ჯამ-ჯიხვებიო, ვისაც არა ჰსურს დაცლა, ის ყულაბში აგდებს ერთს ან ორ შაურს და მთლად თავისუფლდება, რაც ჰსურს ის დალიოს. ასეთი ახალი წესრიგი სუფრისა ჰსპობს ათასგვარად დამღუპავს და ბოროტის მომქმედს ნაძალადევ ლოთობას, ეწევა მასპინძლის ეკონომიას და იმავე დროს თითოოროლა გროშობით შეიძლება შეიკრიბოს ყოველ სოფლის ჭირსა და ლხინში წლის-წლობამდის იმოდენა ფული, რომ ძალიან ადვილია მაშინ იმ ყულაბების წყალობით სკოლა და წიგნთსაცავი დაიარსოს ყველა სოფელმა, თუ კი ამგვარი ყოველს მხრივ საკეთილო და სახეირო ყულაბები სოფლის ნახევარ მცხოვრებთა შორის მაინც დაიბადებიან. ეს „მატიცასებური“ საქმე, ჩემის ფიქრით ღირსია ყველას ყურადღებისა, რათა ფართო-მკვიდრს ნიადაგზედ დადგეს იგი მართლაც-და „სამშობლოს წარმატებისათვის.“

მთადიდელი.

გ) ხელის მოწყობით მოკრებილი ფული, ფული, რომელიც შემოვა საჯარო ლექციებიდამ, წარმოდგენებიდამ, კონცერტებიდამ და სხვ. რომლის გამართვის ნებართვა უნდა მოითხოვონ მთავრობისაგან.

ვ) ფული, რომელიც ეძლევა N ბიბლიოთეკას (სამკითხველოს) საქალაქო სახლის ქირად მისამართის ჯამაგირად, სახლის გასათბობად და გასანათებლად.

4) ბიბლიოთეკისათვის (სამკითხველოსათვის) არის განცალკევებული სახლი.

5) ბიბლიოთეკაში (სამკითხველოში) არის ის წიგნები და გაზეთები, რომელიც მთავრობისაგან ამ საგნისათვის ნება-დართულია.

შენიშვნა. ბიბლიოთეკის საბჭოს აქვს ნება ითხოვოს, რომ ბიბლიოთეკაში სხვა წიგნების კითხვის ნებაც მისცენ.

6) ბიბლიოთეკის გამგეობა ეკუთვნის წევრთა კრებას. წევრად ირიცხებიან ყველანი, ვინც ამლევს და აძლევს ფულს შემოიტანენ და [illegible] კოველ წლივ აძლევნის და ამლების შემოტანას. წევრები მიიღებიან თავდა-ბირველად დამფუძნებელთა გარდაწყვეტილებით, შემდეგ-კი ბიბლიოთეკის საბჭოს გარდაწყვეტილებით. წევრებს მხოლოდ ერთი ხმა აქვთ.

7) ბიბლიოთეკის ზედამხედველობას წევრები მიანდობენ საბჭოს, რომელიც თავმჯდომარედ ირიცხება მზრუნველი ბიბლიოთეკისა, რომელსაც სამ წლისწადში ერთხელ ირჩევენ წევრნი.

8) ბიბლიოთეკის მზრუნველი პასუხის მგებელია მთავრობის წინაშე.

9) საბჭოს წევრთა რიცხვის რაოდენობა ბიბლიოთეკის წევრთა გარდაწყვეტილებაზედ არის დამოკიდებული.

(დასასრული იქნება).

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— პროფესსორი ბონის უნივერსიტეტისა —ველმანი შეუდგა გამოკვლევას იმისას თუ —რა შედეგი აქვს ლოთობას შთამომავლობისთვის. ამისათვის აიღო მან ერთი ოჯახი, საცაც დედა ლოთი ყოფილა და გამოეძიებინა მისგან შთამომავლობა რა დღე დასდგომია და რა კვალი დატოვა. ეს დედა-კაცი სახელად ადა იურკე ყოფილა. ის დაბადებულა 1740 წ., მომეტებულა ლოთობისაგან ამ საუკუნის დასაწყისს, სიცოცხლის [illegible] მისი შთამომავლობა 839 სული არის, ამ რიცხვიდამ 709 სულის წარსული გამოეკვლიათ და აი რა გამოსულა: 106 სული უკანონოდ დაბადებულა, 142 სული გლახა-მათხოვარად ყოფილა, 64 სული ღარიბთა სახლში საზოგადოების ხარჯზედ [illegible], 180 დედა-კაცი უზნეობისა გზაზედ [illegible], 76 სული სასჯელს [illegible] და ამათ შორის შვიდი კაცის-მკვლელი ყოფილა. 75 წლობით გამოანგარიშეს [illegible] (პ. ი ლ.)

— [illegible]

პატანკებისა მით უფრო გაძლიერებულ, რომ ჩრდილოეთის ქარსა უზიდნო გაზრუნებული ტბები. ადგილდაში სიცხე 62° აღწევს შუქზე და ჩრდილში 32°-მდე. სხვა ადგილებში სიცხეს 36°—38°-მდე მოუწევია ჩრდილში. კალაქს ბეჩკას, სადაც 3,000 მკვიდრია, ერთს კვირაში სიცხეს მოუკლავს 30 კაცი. [illegible]

— სხვილი სტაცური, რომელსაც ზოგჯერ ბაცის სტაცურს ეძახიან [illegible]

— თუ გინდათ იმისთანა ტანთ-საცმელი, [illegible] (не промокаемый), [illegible] (свинцовый уксусъ), [illegible] (3. ი ლ.)

## საქართველოს თავადნი.

თავადნი ტუსიშვილნი, თავად ტუსიშვილთა გვარეულობა აღნიშნულია კავშირის ჟამთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულ ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულ საქართველოს თავადთა სიაშია სახელი სიაში აღნიშნულა არამ თავადი ტუსიშვილნი: 1) გრიგოლ ზურაბის ძე, ცოლი მისი ეკატერინე და შვილი მათი გეგენე; 2) კონსტანტინე ზურაბის ძე, ცოლი მისი ნინო და შვილნი მათნი: ზურაბ მაშვილ და ელენე; 3) ამირანიკ შიოს ძე, ცოლი მისი ანნა და სიცხე ამათი მარიამ; 4) ზოლზორჩიკა გრიგოლ შიოს ძე, ცოლი მისი ტასია, შვილნი მათნი: კონსტანტინე, გასილ და ელისაბედ; 5) ქრისტეზ ზაქარიასი—სასლომე, შვილი

მათი მრავარშიკი ისიკი, ცოლითურთ ანასტასიათი და შვილნი მათნი: ზაქარია, მელჩკი, მარიამ და ბარბარე; 6) ფანასიდან ზეკასის ძე, ცოლი მისი სალომე, შვილნი მათნი: ზეკის და კუფიმა; 7) ქერავი გიორგისი—თინათინ, შვილნი მათნი: მოლმორჩიკა ოთხებ (ცოლითურთ კლისაბეთი), ზურაბ (ცოლითურთ ტასიათი) და შვილიშვილნი მათნი: დარია და ქიშვილ ზურაბის ძენი; 8) ზაალ იეგას ძე, ცოლი მისი ეფუკისაბედ, შვილნი მათნი: ანდრიას და კეტევანე და 9) ქერავი დავითიასი—მელანიას და შვილნი მათნი: გიორგი იეგას და გრიგოლ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ. დეკანოზს მეგრელს, ირაკლი ქანთარიას და გერასიმე ოთხმეზს, რომლებმაც შემოსწირეს გურიის სასოფლო წიგნთ-საცავს, მარტყოფს ჟურნალი „მოამბე“ მთელის წლის, მეორემ ექვსი მანეთი ფულით და 2 მ. 20 წიგნები და მესამემ მთელი წლის ჟურნალი „მწყემსი“ გამოწერა.

გამგე წიგნთ-საცავისა ჯამულეთ ბაჯუნა-შვილი.

1896 წ. მარტის 26-ს დღეს.

### პეტერბურგის ბირჟა, 5 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,80 | — „ | — „ |
| 5% მომგებიანი გირაოსობის ფურცლები სახელმწიფო ბანკისა . . . | — „ | — „ | 218¹/₄ |
| 4½% გირაობის ფურცლები იმავე ბანკისა . . . | — „ | — „ | 100¹/₂ |
| 4% იმავე ბანკისა | — „ | — „ | 97³/₄ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¹/₂ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა | 99¹/₂ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 98³/₄ |

## „ივერიის“ ფოსტა

**ქართველ აზნაურთა საყურადღებოდ:** წიგნში, რომლითამაც საქართველოს თავადთა გვარეულობა იბეჭდება, არ არის მოთავსებული აზნაურთა გვარეულობა.

**ქ. მ—ში. ბ-ნ Veritas.** კარგი იქმნებოდა თქვენს ვინაობას, რომ გაგვაგებინებდეთ; ამას მარტო ცნობის-მოყვარეობა კი არ გვათქმევინებს, რედაქციის კანონები ითხოვს. თქვენმა უკანასკნელმა ბიბლიოგრაფიამ-კი დაიგვიანა.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ც. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ф. ბრიტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. მ. შუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. ბრიტასევიჩი.** 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. შუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ; ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

სალამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—100).

## ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა

ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

დაიბეჭდა ახალი წიგნი

## შოთა რუსთაველი

შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ.

განყოფილება პირველი. ა) შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი: რუსთაველის წინა დროის მწერლობა.—ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ.—როგორ უყურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის მწერლები.—რუსთველის ლექსთა წყობა.—როგორ ესმისთ შაირობა რუსთაველსა და მის დროის მწერლებს.—რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდბუნებოვანება.—ვეფხის ტყაოსნის ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორია (მეფე არჩილი, მეფე ვახტანგ VI.—დავით ჩუბინაშვილი.—ილია ჭავჭავაძე.—ბარონ სუტნერი.—მარი ბროსე.—დიმ. ბაქრაძე.—აკაკი წერეთელი.—მურავიოვი.—ნ. გულაკი.—ალ. ხახანაშვილი.—ვაჟა-ფშაველა.—ნიკო მარრი—ნიკო ნიკოლაძე.—ალ. ნანეიშვილი.—დიმ. ყიფიანი.—ჩვენი მოსაზრება.—გრ. ორბელიანი.—გიორგი წერეთელი.—ვახტ. ორბელიანი.—პლატ. იოსელიანი.—ალ. ცაგარელი.—ნ. დ.—ეგ. იოსელიანი.—ლეისტი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, რენანი, უორდროპი); ბ) რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს ს უ რ ა თ ზ ე. განყოფილება მეორე. ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს თ ხ რ ო ბ ა. განყოფილება მესამე. ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედულობით: ა) ღმერთი, ბ) თამარ დედოფალი, გ) რუსთველის ლოცვა, დ) სიმუხთლე სოფლისა, ე) სიკვდილი, ვ) კაცო, ძალსა ნუ იქადი, ზ) ქორწილი, ტ) რუსთაველის იგავ-არაკნი, თ) შაირობა და მგოსნობა, ი) რუსთველის სიბრძნენი და თქმულობანი (სულ რიცხვით 251).

გამოცემა 183 გვერდია, შემკულია სამის სახითა (შოთასი, თამარ დედოფლისა და ტბეთის ეპისკოპოსის წმ. იოანესი და ორის ნახატით „რუსთაველის სურათზე“ და თამარ დედოფალი ციხის ძირს და ღირს 40 კაპ.

დაიბეჭდა და იყიდება

ახალი ქართული წიგნი:

## ᲐᲡᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

თხზ. ედ. ბელლამისა

თარგმანი დ. კლ—ძისა.

სამზღვარგარეთიდამ დბრუნებული

უ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი

იღებს ფრანგულ და ლათინურ ენის გაკვეთილებს.

ადრესი: ქართველთა ამხანაგობის პავილიონში. 3—3

ქალი, რომელმაც იცის, სხვათა შორის, ქართული, ბერძნული, თათრული და საკმაოდ რუსული ენაც, დგება მოსამსახურედ უმაწვილების მომვლელად. ადრესი მისი — ჩუღურეთში, გონჩაროვის ქუჩაზედ, № 32, იკითხეთ მელქისედეკ ნაგაშიძესთან. (3—3)

## ზეთი და ფხვნილი

თითბრის ავეჯეულობის საწმენდი, ამხანაგობის ფაბრიკისა

**რ. კელერისა და ამხ. მოსკოვში.**

ისყიდება ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.

ამ ზეთითა და ფხვნილით გაწმენდილი ნივთები ისე ბჭყვრიალებენ, რომ ახლებზედ ბევრით უკეთესნი ხდებიან. ხოლო სყიდვის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ამათ მაგიერად სხვა ფხვნილი და ზეთი არ იყიდოთ, რადგანაც ხმარება დაბალის ღირსების ზეთისა, ან კიდევ მჟავედ დაშლილ ვენურ კირისა (ე. ი. დაუფქველისა) არ არის ნამდვილი საშუალება, თუმცა ხშირად ხმარობენ და ურჩევენ. ამნაირად დაშლილს კირს სრულიად აღარა აქვს მოქმედების ძალა. 1—19—1

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲝᲗᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ,

შედგენილი ს. ტარუაშვილის მიერ.

ფასი ერთი შაური. (3—43—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 6-го Апрѣля 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.